აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 98

06 ნოემბრის 2008 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შემოსული ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

2008 წლის 05 ნოემბერს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „ახალი თაობა-ახალი ინიციატივა“ გენერალური მდივნის მიხეილ დევდარიანის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილ იქნა საჩივარი 2008 წლის 04 ნოემბრის №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის №82 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული საჩივრების დაკმაყოფილების შესახებ №61/2008 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე, იმ მოტივით, რომ სადაო განკარგულება არ არის შედგენილი სრულყოფილად და არ მომხდარა საჩივრების საფუძვლიანი და არსებითი განხილვა და ამ დროისათვის არ არსებობს სხდომის ოქმი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-80 მუხლით განსაზღვრულია საარჩევნო დავის განხილვის ვადა და წესი, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება კომისიის მიერ მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს იხილავს 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საოლქო სასამართლოში. „ახალი თაობა-ახალი ინიციატივას“ გენერალურ მდივანს სარჩელით უნდა მიემართა შუახევის რაიონულ სასამართლოსათვის და არა აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიისათვის, რაც ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იწვევს საჩივრის განუხილველად დატოვებას.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების, მე-80 მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. განუხილველად დარჩეს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „ახალი თაობა - ახალი ინიციატივის“ გენერალური მდივნის მიხეილ დევდარიანის ადმინისტრაციული საჩივარი 2008 წლის 04 ნოემბრის №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის №61/2008 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია